

შპს „ვოლტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9-25
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. აღრიცხვის საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	11
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	16
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	17
6. შემოსავალი	17
7. გაყიდვების თვითღირებულება	19
8. მარკეტინგის ხარჯები	20
9. სახელფასო ხარჯი	20
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	20
11. ძირითადი საშუალებები	21
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
14. კაპიტალი	22
15. სესხები	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. პირობითი ვალდებულებები	23
18. დაკავშირებული მხარეები	23
19. შემდგომი მოვლენები	25
მმართველობის ანგარიშგება	26

შპს „ვოლტ ჯორჯია“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვოლტ ჯორჯია“-ს („მემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ფასს აღრიცხვის სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 9 ივნისს.

სერგო მარღანია

გენერალური დირექტორი

2025 წლის 9 ივნისი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვოლტ ჯორჯია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ვოლტ ჯორჯიას" (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ფასს აღრიცხვის სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცენოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერსიების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერსიების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ალგი აუდიტი"-ს სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2025 წლის 9 ივნისი
თბილისი, საქართველო

შპს „გოლტ ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	6	49,271	36,244
გაყიდვების თვითღირებულება	7	(12,836)	(11,540)
საერთო მოგება		36,435	24,704
მარკეტინგის ხარჯები	8	(9,014)	(9,130)
სახელფასო ხარჯები	9	(23,722)	(15,000)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(9,544)	(6,278)
სულ საოპერაციო ხარჯები		(42,280)	(30,408)
ცვეთა და ამორტიზაცია		(255)	(189)
საოპერაციო ზარალი		(6,100)	(5,893)
ფინანსური შემოსავალი		382	381
ფინანსური ხარჯები		(1,092)	(530)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(710)	(149)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(6,810)	(6,042)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(6,810)	(6,042)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია

ფინანსური მკონტროლელი
ელენე ბერიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,384	798
არამატერიალური აქტივები		157	194
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები		2,024	603
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,565	1,595
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,032	333
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	9,509	4,781
გადახდილი ავანსები		455	95
სხვა მოკლევადიანი აქტივები		295	297
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	11,864	10,723
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,155	16,229
სულ აქტივები		26,720	17,824
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		12,000	-
(დაგროვილი ზარალები)/გაუნაწილებელი მოგება		(15,207)	(8,397)
სულ კაპიტალი	14	(3,207)	(8,397)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	5,920	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	22,985	25,425
საგადასახადო ვალდებულებები		587	646
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		435	150
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29,927	26,221
სულ ვალდებულებები		29,927	26,221
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,720	17,824

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია

ფინანსური მკონტროლერები
ელენე ბერიძე

შპს „გოლტ ჯორჯია“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	განთავსებული კაპიტალი	(დაგროვილი ზარალები)/გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
'000 ლარი			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(2,355)	(2,355)
წლის ზარალი	-	(6,042)	(6,042)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(8,397)	(8,397)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	(8,397)	(8,397)
წლის ზარალი	-	(6,810)	(6,810)
კაპიტალის გაზრდა	12,000	-	12,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	12,000	(15,207)	(3,207)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გენერალური დირექტორი
სერგო მარდანიას

ფინანსური მკონტროლელი
ელენე ბერიძე

შპს „გოლტ ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი		(6,810)	(6,042)
<i>კორექტირებები:</i>			
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	9	2,692	2,709
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		66	31
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		37	-
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა		987	859
ცვეთა და ამორტიზაცია		255	189
წმინდა ფინანსური ხარჯი		809	133
		(1,964)	(2,121)
<i>ცვლილებები:</i>			
გრძელვადიან გადახდილ ავანსებში		(1,421)	(185)
მარაგებში		(699)	108
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,081)	(4,611)
გადახდილ ავანსებში		(360)	70
სხვა მოკლევადიან აქტივებში		(3)	(95)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(5,534)	6,428
მოკლევადიან საგადასახადო ვალდებულებებში		(59)	(1,162)
სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		285	77
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		(14,836)	(1,491)
გადახდილი პროცენტები		(230)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		(15,066)	(1,491)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		382	381
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(907)	(564)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(95)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/ (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(525)	(278)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან	15	14,732	-
სესხების დაფარვა	15	(8,958)	-
კაპიტალის გაზრდა		12,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		17,774	-
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		2,183	(1,769)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		10,723	11,990
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		(1,042)	502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	11,864	10,723

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია

ფინანსური მაკონტროლებელი
ელენე ბერიძე

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ვოლტ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2018 წლის 22 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N61 და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405260042.

კომპანია მართავს გლობალურ ციფრულ სავაჭრო პლატფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს სავაჭრო ობიექტებს დაიმკვიდრონ თავიანთი თავი და აღნიშნული პლატფორმის საშუალებით შესთავაზონ თავიანთი პროდუქტები კლიენტებს, შეუფერხებლად აწარმოონ ტრანზაქციები მომხმარებლებთან და შეასრულონ მათი შეკვეთები დამოუკიდებელი კონტრაქტორების (კურიერი პარტნიორები) მეშვეობით, რომლებიც აღნიშნულ პლატფორმას შეკვეთების მისაწოდებლად იყენებენ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სავაჭრო პლატფორმა“ და/ან „ვოლტის პლატფორმა“).

კომპანია ემსახურება კლიენტებს მათთვის პლატფორმაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდებით, მათ შორის „გატანის“ მომსახურება, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წინასწარ განათავსონ შეკვეთები და მიიღონ ისინი რიგში ლოდინის გარეშე, „ადგილზე მირთმევის“ მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მიირთვან რესტორნებში აღნიშნული პლატფორმის საშუალებით, ‘Wolt +’ პროდუქტი წევრებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ულიმიტო წვდომას ხელმისაწვდომ მოვაჭრეებზე, უფასო მიწოდებით და შერჩეულ შეკვეთებსა და სხვა დაკავშირებულ პროდუქტებზე შემცირებული ტარიფებით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას პირდაპირ ფლობს შპს „Wolt Enterprise OY“ (მშობელი კომპანია), რომელიც დაფუძნებულია ფინეთში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას საბოლოოდ ფლობს და აკონტროლებს „DoorDash Inc“ („საბოლოო მშობელი კომპანია“), რომელმაც მოიპოვა 100%-იანი საკუთრების წილი კომპანიაში, 2022 წლის მაისში „Wolt Enterprise OY“-ში 100%-იანი წილის შეძენის გზით. „DoorDash Inc“-ის მიერ შეძენამდე, „Wolt Enterprise OY“-ს „Wolt Service Denmark ApS“-ი ფლობდა, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის გარეშე.

საბოლოო მშობელი კომპანია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას, რომელიც საკვების ონლაინ შეკვეთას და მიწოდებას ახორციელებს. ეს არის ამერიკული კომპანია დაარსებული პალო ალტოში, კალიფორნია, შეერთებული შტატები, სათაო ოფისით სან-ფრანცისკოში, კალიფორნია, შეერთებული შტატები და აქვს ლისტინგი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე "DASH" სიმბოლოთი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, შემდეგი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ მშობელი კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების 5%-ზე მეტს:

საკუთრების წილი (%) 31 დეკემბრისთვის

Sequoia Capital-თან აფილირებული პირები
„Vanguard Group” Inc.

2024

7.80%

7.40%

სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ განთავსებული აქციების 5%-ზე ნაკლებს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაში.

b) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის ომის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს ეკონომიკაში, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. აღრიცხვის საფუძვლები

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს აღრიცხვის სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) სრულ შესაბამისობაში.

(b) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ათას ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(c) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

(d) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გამყდევნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. პირვანდელი ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამყდვების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

შემოსავალი

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
საკომისიო შემოსავალი	საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს მისი სავაჭრო პლატფორმის საშუალებით კლიენტებისთვის პროდუქტების გაყიდვების ხელშეწყობისთვის და მოვაჭრეებისგან კლიენტებისთვის შეკვეთების მიწოდებიდან გამომდინარე საკომისიოს. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, საწარმომ უნდა აღიაროს შემოსავალი, როდესაც (ან თანადროულად) საწარმო დააკმაყოფილებს საქონლის ან მომსახურების ან საქონლის ან მომსახურების ნაკრების კლიენტისთვის გადაცემის დაპირებას. საქონლის ან მომსახურების გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც (ან თანადროულად) მომხმარებელი მიიღებს კონტროლს აღნიშნულ საქონელზე ან მომსახურებაზე. კომპანია აღიარებს შემოსავალს სავაჭრო პარტნიორებისა და მომხმარებლებისგან თითოეული წარმატებით დასრულებული ტრანზაქციისთვის დროის გარკვეულ მომენტში. კომპანია ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას სავაჭრო პარტნიორის მიმართ, როდესაც ხდება მოვაჭრეების პროდუქციის წარმატებული რეალიზაცია და ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას მომხმარებლის მიმართ, მას შემდეგ, რაც კურიერი აიღებს პროდუქციას მოვაჭრისგან მომხმარებლისთვის მისაწოდებლად. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს აღრიცხვის სტანდარტების 23-ე აბზაცის თანახმად, როდესაც სხვა მხარე მონაწილეობს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებაში, მისი დაპირების ბუნების მიხედვით, საწარმომ უნდა განსაზღვროს, უნდა უზრუნველყოფს თუ არა თვითონ აღნიშნული საქონლის ან მომსახურების მიწოდება (ანუ, საწარმო მოქმედებს პრინციპალის სახით), თუ აღნიშნული საქონლის ან მომსახურების სხვა მხარის მიერ მიწოდება უნდა დააორგანიზოს (ანუ, საწარმო მოქმედებს აგენტის სახით). საწარმომ უნდა

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
	განსაზღვროს მოქმედებს ის პრინციპალის, თუ აგენტის სახით თითოეული დაპირებისთვის ხელშეკრულებაში. კომპანიამ განსაზღვრა, რომ ის მოქმედებს აგენტის სახით მომხმარებლისთვის და ხელს უწყობს მისთვის პროდუქციის მიწოდებას, მომხმარებლების, მოვაჭრეებისა და კურიერი პარტნიორების დაკავშირებით, რადგან კომპანიას არ აქვს საქონელზე/მომსახურებაზე კონტროლი მისი საბოლოო მომხმარებელზე გადაცემამდე.
სხვა შემოსავალი	ზოგადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს დამატებითი ღირებულების მომსახურების გაწევას და მარაგების მიწოდებას მოვაჭრეებისთვის, როგორცაა iPad-ების და სხვა აღჭურვილობის გაყიდვები, ფიჭური სააბონენტო მომსახურების გაწევა, პროდუქტების ფოტოებისა და მომხმარებელთა ჩეკების ბეჭდვისთვის პრინტერების მიწოდებას. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს აღრიცხვის სტანდარტების 23-ე აბზაცის მიხედვით, საწარმომ უნდა აღიაროს შემოსავალი, როდესაც (ან თანადროულად) საწარმო დააკმაყოფილებს საქონლის ან მომსახურების ან საქონლისა ან მომსახურების ნაკრების კლიენტისთვის გადაცემის დაპირებას. საქონლის ან მომსახურების გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც (ან თანადროულად) მომხმარებელი მიიღებს კონტროლს აღნიშნულ საქონელზე ან მომსახურებაზე. მარაგები - რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მარაგების მოვაჭრისთვის გაყიდვისას, შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ, დროის გარკვეულ მომენტში. მომსახურება - რადგან მომსახურების მიწოდება ხდება გარკვეული დროის განმავლობაში, შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის პერიოდში, ანუ შემოსავალი გარკვეული დროის განმავლობაში აღიარდება.
კომპანიათაშორისი შემოსავალი	კომპანიათაშორისი შემოსავალი წარმოადგენს დაკავშირებული მხარის კომპანიებს შორის საშუალოდ მომსახურების გაწევიდან მიღებულ საკომისიოს. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს აღრიცხვის სტანდარტების 23-ე აბზაცის მიხედვით, საწარმომ უნდა აღიაროს შემოსავალი, როდესაც (ან თანადროულად) საწარმო დააკმაყოფილებს საქონლის ან მომსახურების ან საქონლისა ან მომსახურების ნაკრების კლიენტისთვის გადაცემის დაპირებას. საქონლის ან მომსახურების გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც (ან თანადროულად) მომხმარებელი მიიღებს კონტროლს აღნიშნულ საქონელზე ან მომსახურებაზე. კომპანიათაშორისი შემოსავლის აღრიცხვა მსგავსია მოვაჭრის შემოსავლის აღიარებისა
წახალისება	დროდადრო კომპანია გასცემს კრედიტებსა და ანაზღაურებებს მომხმარებლებზე, რათა მოაგვაროს პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შეკვეთებთან დაკავშირებით ან მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული კლიენტები. კომპანია მსგავს ანაზღაურებებს აღრიცხავს ცვლადი ანაზღაურების სახით და შესაბამისად, აღრიცხავს თითოეული გაცემული ანაზღაურების ან კრედიტის თანხას, როგორც შემოსავლის შემცირებას.

გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება წარმოადგენს პირდაპირ ფიქსირებულ და ცვალებად ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლის გენერირების საქმიანობასთან და ძირითადად მოიცავს საგადახდო სააგენტოს საკომისიოებს, პლატფორმის საკომისიოს, მოვაჭრეებსა და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (იხ. შენიშვნა 7). გაყიდვების თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო ხარჯებს, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი ვალებსა და გარანტიებზე;
 - უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მისი დარიცხვისთანავე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება დგება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის თავდაპირველად დადებული პირობების მიხედვით გადახდის მიღებას. ამ შემთხვევაში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების და ოპერაციების კონვერტაციისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ „კომპანია“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(i) აქციებზე დაფუძნებული გადახდების ოპერაციები

გაცემის თარიღისთვის, თანამშრომლებზე გაცემულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ნაღდ ანგარიშსწორებას ითვალისწინებს, ზოგადად აღიარებულია ხარჯის სახით და ვალდებულების შესაბამისი ზრდით, უფლებების მინიჭების პერიოდის განმავლობაში გაცემებისთვის. ხარჯად აღიარებული ოდენობა კორექტირდება გაცემების რაოდენობის ასახვის მიზნით, რომელთათვისაც დაკავშირებული მომსახურების შესრულება არის მოსალოდნელი, იმგვარად, რომ საბოლოოდ აღიარებული ოდენობა დაფუძნებული იყოს იმ გაცემების რაოდენობაზე, რომლებიც აკმაყოფილებს დაკავშირებული მომსახურების პირობებს უფლებების მინიჭების თარიღისთვის. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხარჯის სახით აღიარებული ოდენობა შემდგომ კორექტირდება გაცემული წილებზე დაფუძნებული ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდების საბაზრო ღირებულების ცვლილების ასახვის მიზნით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი ორგანიზაციები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, საფინანსო დაწესებულებები აღარ გადავლენ დაბეგვრის ესტონურ მოდელზე (გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომლებიც გადადიან ესტონურ მოდელზე 2024 წლის 1 იანვრიდან).

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილი იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ზასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, მოსალოდნელი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების კომპანიაში.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით:

ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%-30%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%-30%
ოფისის აღჭურვილობა	20%-30%

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდვეი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება

მცირე და საშუალო საწარმოების ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

შენიშვნა 3 – შემოსავლის აღიარება: განსაზღვრა იმისა, მოქმედებს თუ არა კომპანია კლიენტებთან დადებულ გარიგებებში როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დამკვლეობა, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დაკორექტირება, რადგან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს აჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(570)	(921)	(1,491)

6. შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
საკომისიო შემოსავალი	57,737	35,776
წახალისება	(36,707)	(15,852)
სხვა შემოსავალი	11,273	6,237
კომპანიისათვის შემოსავალი	16,968	10,083
	49,271	36,244

კომპანია შემოსავლის უდიდეს ნაწილს გამოიმუშავებს სავაჭრო პლატფორმის საშუალებით განხორციელებული შეკვეთებიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით სავაჭრო პარტნიორებზე დარიცხული საკომისიოდან და მომხმარებლებზე დარიცხული საკომისიოდან. სავაჭრო პარტნიორებისგან მიღებული საკომისიო დაფუძნებულია წინასწარ შეთანხმებულ ტარიფზე, რომელიც გამოიყენება მომხმარებლების მიერ შეკვეთილი პროდუქტების მთლიან ღირებულებაზე. მომხმარებლების საკომისიო დარიცხულია სავაჭრო პლატფორმის გამოყენებისთვის და მიწოდების მომსახურების ორგანიზებისთვის.

შემოსავალი აისახება ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე, მომხმარებლებისთვის მიწოდების მომსახურების გაწევისას, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი მომხმარებლებსა და კურიერ პარტნიორებს შორის, რომელთაც კომპანია ქირაობს საკურიერო მიწოდების მომსახურების გასაწევად და რომლებიც დამოუკიდებელი მესამე მხარის კონტრაქტორების სახით მოქმედებენ.

ვოლტის საკომისიოები

ვოლტის საკომისიო წარმოადგენს კომპანიის შემოსავალს სავაჭრო პლატფორმაზე მოვაჭრეებისთვის მომსახურების ნაკრების მიწოდებიდან და მოვაჭრეებისგან კლიენტებისთვის შეკვეთების მიწოდებიდან.

მოვაჭრეებისთვის მომსახურების ნაკრების მიწოდება სავაჭრო პლატფორმაზე, ძირითადად, მოიცავს ციფრული სივრცის მიწოდებას მენიუებისა და პროდუქტების გამოქვეყნებისთვის და სავაჭრო პლატფორმაზე შეკვეთების განთავსების და გადახდების დამუშავების ხელშეწყობას. კომპანია საკომისიოს არიცხავს მოვაჭრეთა ბრუნვას, რომელიც მიღებულია სავაჭრო პლატფორმაზე მომხმარებლებისთვის პროდუქტების გაყიდვიდან. ბრუნვა და საკომისიო ავტომატურად გამოითვლება ვოლტის პლატფორმაზე. კომპანიის საკომისიო სავაჭრო პლატფორმაზე შეკვეთების ხელშეწყობისთვის, ძირითადად მოიცავს საკომისიოს „სახლში მიწოდების“ მომსახურების გაწევიდან, რომელიც გამოუმუშავებულია მომხმარებლებისთვის მათ სახლებსა ან სხვა მდებარეობაზე შეკვეთების მიწოდებიდან და „გატანის“ მომსახურების გაწევიდან, რომელიც

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

მიღებულია მომხმარებლებისთვის წინასწარი შეკვეთის განთავსების და სავაჭრო ობიექტებიდან რიგებში ლოდინისა და სამომხმარებლო საკომისიოს გადახდის გარეშე გატანის საშუალების შეთავაზებიდან.

სავაჭრო ობიექტებიდან მომხმარებლებისთვის შეკვეთების მიწოდებაზე გამომუშავებული საკომისიო წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც მიიღება შეკვეთების სავაჭრო ობიექტებიდან მომხმარებლებისთვის მიწოდებიდან. აღნიშნული საკომისიო დარიცხულია მომხმარებლებზე, შეკვეთის ფასზე დამატებით და შეიძლება მოხდეს ფასდაკლება ვოლტის აპლიკაციის ხშირი გამოყენების შედეგად მიღებული ქულებისა და კრედიტების გამოყენებით. ყველაზე ხშირად გაყიდვადი პროდუქტია „მომხმარებელზე გაყიდული მიწოდება“, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს მათ სახლებსა ან სხვა მდებარეობებზე შეკვეთების მიწოდებას. გარდა ამისა, კომპანია გამოიმუშავებს შემოსავალს 'Wolt +' -იდან - პროდუქტი წევრებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ულიმიტო წვდომას ხელმისაწვდომ მოვაჭრეებზე უფასო მიწოდებითა და შემცირებული ტარიფით ხელმისაწვდომ შეკვეთებზე, და „Delivery Drive“-იდან, რა შემთხვევაშიც მიწოდებას მოვაჭრეები უკვეთავენ.

სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს სავაჭრო ობიექტებისთვის iPad-ების და აღჭურვილობის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, პარტნიორთა მომსახურების შემოსავალს და მოვაჭრეებისგან მიღებულ ანაზღაურებას.

მოვაჭრეებისთვის iPad-ებისა და აღჭურვილობის გაყიდვა

კომპანია მოვაჭრეებზე ყიდის iPad-ებსა და სხვა აღჭურვილობას, რაც მათ „ვოლტ პლატფორმის“ მოვაჭრეებთან დაკავშირებული კომერციული სავაჭრო მოდულის გამოყენების საშუალებას აძლევს. აღნიშნული ძირითადად მომხმარებლებისგან მიღებული შეკვეთების დადასტურებას და გაყიდვების ბრუნვისა და ანგარიშსწორების აღრიცხვას მოიცავს. აღნიშნული ანგარიში ასევე მოიცავს ბრუნვას კომპანიის მიერ სავაჭრო ობიექტებისთვის ფიქური მომსახურების მიწოდებიდან, რომელიც iPad-ების ინტერნეტთან დასაკავშირებლად გამოიყენება. აღნიშნული ფიქური მომსახურების საკომისიო დარიცხულია კომპანიის მიერ შესაბამისი მობილური ოპერატორებისგან.

ვოლტის პარტნიორთა მომსახურების შემოსავალი

2022 წელს, ვოლტ ჯგუფმა დააფუძნა შპს „Wolt Market Georgia“ (დაკავშირებული მხარის საწარმო) - ცალკე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საცალო ვაჭრობას საქართველოში. სხვა სავაჭრო პარტნიორების მსგავსად „Wolt Market Georgia“ გამოიმუშავებს შემოსავალს კომპანიის საშუამავლო მომსახურების გამოყენებით, სავაჭრო პლატფორმის საშუალებით მისი პროდუქტების მომხმარებლებზე გაყიდვიდან. კომპანია, თავის მხრივ, არიცხავს შესაბამის საკომისიოს „Wolt Market Georgia“-ს საშუამავლო მომსახურების გაწევისთვის და აღნიშნული საკომისიო აღირიცხება განცალკევებით ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოვაჭრეებისგან მიღებული ანაზღაურება

კომპანია აღიარებს შემოსავალს ზარალებისა და რეპუტაციის ზიანის ანაზღაურებიდან, რომელიც დარიცხულია სავაჭრო ობიექტებზე. ანაზღაურება დაკისრებულია პროდუქტის მიწოდების ხარისხის დარღვევისთვის ან სხვა, მოვაჭრეების მიერ გამოწვეული ზიანისთვის, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს კომპანიის რეპუტაციაზე მომხმარებლებში. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ დაარიცხა 2,734 ათასი ლარის ოდენობით (2023: 1,792 ათასი ლარი) ანაზღაურება მოვაჭრეებს, პროდუქტების მიწოდების ხარისხის დარღვევისთვის, რომელიც მოვაჭრეების ბრალეულობით იყო გამოწვეული.

7. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2024	2023
საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები:	735	2,135
კურიერი პარტნიორების დაზღვევა	333	272
საკურიერო აღჭურვილობის ხარჯები	281	1,770
სხვა საკურიერო ხარჯები	121	93
მოვაჭრეებთან დაკავშირებული ხარჯები:	508	583
ვოლტ iPad-ები, აღჭურვილობა და საკურიერო აღჭურვილობა მოვაჭრეებისთვის	468	425
ვოლტ სტიკერები და სარეკლამო მასალები მოვაჭრეებისთვის	40	158
საგადახდო სააგენტოს საკომისიო	11,593	8,809
პლატფორმის საკომისიო	-	13
	12,836	11,540

კომპანიის შემოსავლის ღირებულება ძირითადად მოიცავს: (i) საგადახდო სააგენტოს საკომისიოს, (ii) კურიერ პარტნიორებთან დაკავშირებულ ხარჯებს, (iii) მოვაჭრეებთან დაკავშირებულ ხარჯებს და (iv) საქართველოში ვოლტ პლატფორმის გამოყენებისთვის სათაო ოფისის მიერ დარიცხულ, პლატფორმის გამოყენების საკომისიოს.

საგადახდო სააგენტოს საკომისიო

კომპანიის საგადახდო სააგენტოს საკომისიო ძირითადად წარმოადგენს მესამე მხარის შემსყიდველი კომპანიების მიერ დაკისრებულ, გადახდების დამუშავების საკომისიოს, რომლებიც კომპანიას, მოვაჭრეებს, მომხმარებლებს და კურიერ პარტნიორებს შორის გადახდების ტრანზაქციებს ამუშავებენ.

საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები ძირითადად მოიცავს (i) კურიერი პარტნიორების დაზღვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია კურიერებისთვის, საკურიერო მიწოდების სამუშაოების დროს მომხდარი უბედური შემთხვევების სადაზღვევო დაფარვის უზრუნველსაყოფად, და (ii) კურიერების აღჭურვილობის ხარჯებს, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ აღიარებულ ჩამოწერის ხარჯებს, კურიერი პარტნიორებისთვის საკურიერო აღჭურვილობასთან დაკავშირებული მარაგების მიწოდებიდან და მარაგების რეგულარული გადაფასებებიდან. აღნიშნული ხარჯები არ ფარავს საკურიერო მიწოდების საფასურს.

მოვაჭრეებთან დაკავშირებული ხარჯები

მოვაჭრეებთან დაკავშირებული ხარჯები ძირითადად მოიცავს (i) მოვაჭრეების აღჭურვილობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც წარმოადგენს კომპანიის მიერ აღიარებულ მარაგების ჩამოწერის ხარჯებს სავაჭრო პარტნიორებისთვის iPad-ების და სხვა აღჭურვილობის გაყიდვიდან და მარაგების რეგულარული გადაფასებიდან; და (ii) მოვაჭრეებისთვის სარეკლამო მასალების მიწოდებას.

პლატფორმის საკომისიო

პლატფორმის საკომისიო წარმოადგენს კომპანიათაშორის ხარჯს, რომელსაც მშობელი კომპანია არიცხავს კომპანიას, საქართველოში, კომპანიის ბიზნეს მიზნებისთვის ვოლტის პლატფორმის გამოყენების უფლებების მიწოდებისთვის. მშობელი კომპანია „ვოლტის პლატფორმაზე“ ინტელექტუალური საკუთრების ერთადერთი მფლობელია და შესაბამისად, უფლებამოსილია აღნიშნული პლატფორმის გამოყენების უფლებები მიაწოდოს მის აფილირებულ პირებსა და სხვა მხარეებს.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

8. მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
შესრულებაზე დაფუძნებული მარკეტინგი	5,244	6,270
მედია რეკლამა	2,185	1,293
კრეატიული წარმოება და დიზაინი	569	824
ინფლუენსერები, ღონისძიებები და აგენტები	531	313
საქონელი	128	96
სხვა მარკეტინგის ხარჯები	357	334
	9,014	9,130

9. სახელფასო ხარჯი

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოები	21,030	12,291
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	2,692	2,709
	23,722	15,000

საბოლოო მშობელი კომპანია იყენებს მოკლევადიან სტიმულირების პროგრამებს კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის, რის მიხედვითაც მათ პირობითად ენიჭებათ საბოლოო მშობელი კომპანიის აქციები, რომლებიც მომავალ მომსახურების პერიოდებზე გადადის.

აქციებზე დაფუძნებულ გადახდებთან დაკავშირებული დარიცხვების გამოყენების დანერგული პრაქტიკის მიხედვით საბოლოო მშობელი კომპანია არიცხავს გაცემული, აქციებზე დაფუძნებული გადახდების ღირებულებას კომპანიას. შედეგად, დარიცხვის ხარჯი მიჩნეულია არა-სახელშეკრულებო კონსტრუქციულ ვალდებულებად. კომპანიამ აირჩია სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც კონსტრუქციული ვალდებულება არა-სახელშეკრულებო დარიცხვისთვის აღირიცხება ნაღდი ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანალოგიურად. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული გარიგება კლასიფიცირდება ნაღდი ანგარიშსწორებით დაკმაყოფილებულის სახით. სამართლიანი ღირებულება ფასდება ჯილდოს მინიჭების თარიღისთვის და ნაწილდება პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლებს ექნებათ უპირობო უფლება აქციებზე, აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულების შესაბამისი ზრდით. ამასთანავე, ხდება ვალდებულების ღირებულების გადაფასება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაცემული, ვადაგასული და დამატებული აქციების რაოდენობის გათვალისწინებით.

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
საიჯარო ხარჯი	2,565	1,361
პროფესიული მომსახურების ხარჯი	2,159	1,512
სამიწვინებო ხარჯები	1,190	380
მოთხოვნების ჩამოწერა	987	859
საოფისე მარაგები	735	422
ტექნოლოგიური მომსახურების ხარჯები	506	895
კომუნალური ხარჯები	486	413
დაზღვევის ხარჯები	443	115
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	164	84
სხვა ხარჯები	309	237
	9,544	6,278

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი				
ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამურად
საწყისი ღირებულება				
1 იანვარი 2023	16	542	52	610
დანამატები	3	178	383	564
აქტივების ჩამოწერა	-	(30)	(1)	(31)
31 დეკემბერი 2023	19	690	434	1,143
დანამატები	9	784	114	907
აქტივების ჩამოწერა	-	(67)	-	(67)
31 დეკემბერი 2024	28	1,407	548	1,983
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2023	(3)	(157)	(7)	(167)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერა	(3)	(120)	(55)	(178)
31 დეკემბერი 2023	(6)	(277)	(62)	(345)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერა	(9)	(186)	(60)	(255)
31 დეკემბერი 2024	(15)	(462)	(122)	(599)
წმინდა ღირებულება				
1 იანვარი 2023	13	385	45	443
31 დეკემბერი 2023	13	413	372	798
31 დეკემბერი 2024	13	945	426	1,384

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები B2B გაყიდვებიდან		494	322
მოთხოვნები B2C გაყიდვებიდან		503	348
მოთხოვნები საგადახდო მომსახურების მომწოდებლების მიმართ*		2,644	942
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ		5,868	3,169
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		9,509	4,781
საექვო ვალების რეზერვი		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა		9,509	4,781

* მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ წარმოადგენს კომპანიის გადახდების დამმუშავებლებისგან მისაღებ თანხებს მოვაჭრეებთან და მომხმარებლებთან განხორციელებული ტრანზაქციებისთვის, ასევე გადახდების დამმუშავებლებისთვის გადაცემულ ოდენობებს, კურიერ პარტნიორებთან ანგარიშსწორებისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10,241	10,096
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,623	627
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,864	10,723

14. კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი - წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ოდენობას, 2024 წლის განმავლობაში მოხდა კაპიტალის ზრდა და მისი ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 12,000 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი - 0 ლარი).

დივიდენდები

განთავსებული კაპიტალის მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ უნდა შეინარჩუნოს იმ ოდენობით გასანაწილებელი რეზერვები, რომ მისი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და განთავსებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

15. სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხები დაკავშირებული მხარისგან	5,920	-
სულ	5,920	-

'000 ლარი				31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამსესხებელი	ვალუტა	ვადაიანობა	საპროცენტო განაკვეთი		
Wolt Enterprises Oy	ევრო	31.12.2025	1.29%	5,920	-
სულ სესხები				5,920	-

'000 ლარი	2024	2023
სესხები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან		
შემოსულობები სესხებიდან	14,732	-
სესხის ძირის დაფარვა	(8,958)	-
სხვა ცვლილებები		
სესხის პროცენტის დაფარვა	(230)	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	86	-
სესხზე დარიცხული პროცენტი	290	-
სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,920	-

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	8,466	12,065
ვალდებულებები მოვაჭრეების მიმართ	8,607	6,919
ვალდებულებები კურიერების მიმართ	4,592	5,604
ვალდებულებები დასაქმებულების მიმართ	806	469
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	370	53
სხვა ვალდებულებები	144	315
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,985	25,425

17. პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო ქონებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

18. დაკავშირებული მხარეები

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის „Wolt Enterprise OY“ და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „DoorDash Inc“ (შენიშვნა 1(a)). „Wolt Enterprise OY“-ს (შენიშვნა 1 (a)) წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი sec.gov. ვებგვერდის საშუალებით. "DoorDash Inc."-ის წლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე: www.Doordash.com.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	2,077	1,898

ოპერაციები და ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 2024 წლისთვის	გარიგების ღირებულება 2023 წლისთვის
მომსახურების გაყიდვა (i)		
მშობელი კომპანია	1,835	4,448
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	15,133	5,635
მომსახურების შესყიდვა (ii)		
მშობელი კომპანია	8,967	8,810
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	-	13
შემოსულობები სესხებიდან		
მშობელი კომპანია	14,732	-
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა სესხზე		
მშობელი კომპანია	290	-

'000 ლარი	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს
მომსახურების გაყიდვა (i)		
მშობელი კომპანია	910	183
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	4,958	2,986
მომსახურების შესყიდვა		
მშობელი კომპანია	4,861	2,359
საბოლოო მშობელი კომპანია	-	5,365
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	3,605	4,341
შემოსულობები სესხებიდან		
მშობელი კომპანია	5,860	-
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა სესხზე		
მშობელი კომპანია	60	-

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო ვალეზზე ხარჯების აღიარება.

- (i) მომსახურების გაყიდვა წარმოადგენს პარტნიორთა მომსახურების შემოსავალს, რომელიც გენერირებულია მშობელი კომპანიისგან, ასევე შემოსავალს ისეთი მომსახურების მიწოდებიდან

როგორცაა: საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისთვის ადგილობრივი მარკეტინგის მომსახურება.

19. შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვალში კომპანიამ მთლიანად დაფარა მშობელი კომპანიისგან აღებული სესხი 2,000 ათასი ევროს ოდენობით.

2025 წლის თებერვალში კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 15,000 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის აპრილში კი დამატებით გაიზარდა 12,000 ათასი ლარით.

შპს „ვოლტ ჯორჯია“
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

1. ჩვენი ბიზნესი საქმიანობა

ჩვენ წარმოადგენთ შპს „ვოლტ ჯორჯია“-ს, ვოლტ ჯგუფის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ჩვენ“ და(ან) „კომპანია“). კომპანიის სრული და პირდაპირი მფლობელია „Wolt Enterprises OY“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ვოლტ ჯგუფის კომპანიების სათავე კომპანია, რომელიც მდებარეობს ჰელსინკიში, ფინეთი და რეგისტრირებულია ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას საბოლოოდ ფლობს და აკონტროლებს „DoorDash Inc“ („საბოლოო მშობელი კომპანია“), რომელმაც მოიპოვა 100%-იანი საკუთრების წილი კომპანიაში, 2022 წლის მაისში „Wolt Enterprise OY“-ში 100%-იანი წილის შეძენის გზით. „DoorDash Inc“-ის მიერ შეძენამდე, „Wolt Enterprise OY“-ს „Wolt Service Denmark ApS“-ი ფლობდა, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის გარეშე.

საბოლოო მშობელი კომპანია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას, რომელიც საკვების ონლაინ შეკვეთას და მიწოდებას ახორციელებს. ეს არის ამერიკული კომპანია დაარსებული პალო ალტოში, კალიფორნია, შეერთებული შტატები, სათაო ოფისით სან-ფრანცისკოში, კალიფორნია, შეერთებული შტატები და აქვს ლისტინგი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე "DASH" სიმბოლოთი.

ჩვენი კომპანია მართავს გლობალურ ციფრულ სავაჭრო პლატფორმას, რომელიც შემუშავებულია და რეგისტრირებულია ფინეთში და მორგებულია საქართველოში არსებულ გარემოპირობებზე (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ვოლტ პლატფორმა“ ზოგადად და „სავაჭრო პლატფორმა“, ვინაიდან სავაჭრო პლატფორმა აღნიშნული პლატფორმის ნაწილს წარმოადგენს) და რომელიც საშუალებას აძლევს სავაჭრო ობიექტებს დაიმკვიდრონ თავიანთი თავი და აღნიშნული პლატფორმის საშუალებით შესთავაზონ თავიანთი პროდუქტები კლიენტებს, შეუფერხებლად აწარმოონ ტრანზაქციები მომხმარებლებთან და შეასრულონ მათი შეკვეთები კურიერი პარტნიორების მეშვეობით, რომლებიც ჩვენს პლატფორმას შეკვეთების მისაწოდებლად იყენებენ.

საქართველოში ჩვენ ვემსახურებით კლიენტებს მათთვის გლობალურად ცნობილ პლატფორმაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდებით, მათ შორის „გატანის“ მომსახურება, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წინასწარ განათავსონ შეკვეთები და მიიღონ ისინი რიგში ლოდინის გარეშე, „ადგილზე მირთმევის“ მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მიირთვან რესტორნებში აღნიშნული პლატფორმის საშუალებით, „Wolt +“ პროდუქტი წვერებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ულიმიტო წვდომას ხელმისაწვდომ მოვაჭრეებზე, უფასო მიწოდებით და შერჩეულ შეკვეთებსა და სხვა დაკავშირებულ პროდუქტებზე შემცირებული ტარიფებით.

ჩვენ ასევე ვთავაზობთ მომსახურებას, რომელიც ქართველ მოვაჭრეებს ეხმარება საკუთარი ციფრული არხების შექმნაში (Wolt Drive), რომელიც წარმოადგენს მიწოდების მომსახურებას საკუთარი სავაჭრო ნიშნით, რომელიც საშუალებას აძლევს სავაჭრო ობიექტებს, რომლებმაც მომხმარებელთა მოთხოვნა საკუთარი არხებით მოიპოვეს, აღნიშნული მოთხოვნა „ვოლტ პლატფორმის“ საშუალებით დააკმაყოფილონ.

ჩვენს პარტნიორ კურიერებს ჩვენი პლატფორმა სთავაზობს ხელმისაწვდომ და მოქნილ შესაძლებლობებს, რათა გამოიმუშაონ შემოსავალი, რომლითაც მათ შეუძლიათ აირჩიონ როდის, სად და რა სიხშირით და ხანგრძლივობით იმუშაონ საკვების მიწოდების მომსახურებაზე, ვოლტის პარტნიორი კურიერების სახით.

ჩვენ ვგეგმავთ მეტი მომსახურების შეთავაზებას მოვაჭრეებისთვის საქართველოში, რომლებსაც ვოლტი მუდმივად ავითარებს გლობალურად სხვადასხვა ქვეყანაში, მომხმარებლებისთვის ვოლტის აპლიკაციაში სავაჭრო ობიექტებისა და პროდუქტების არჩევანის გაზრდით და პარტნიორი კურიერებისთვის მეტად მიმზიდველი შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობების შეთავაზებით.

კონკურენცია და ბაზრის ძირითადი მოთამაშეები

საქართველოს ბაზარი, რომელშიც ჩვენ ვმოღვაწეობთ ძალიან კონკურენტულია. ჩვენ კონკურენციას გავწევთ სამი ძირითადი ჯგუფისთვის: მოვაჭრეებს ვთავაზობთ ჩვენი გაყიდვის არხებს, ბრენდის ცნობადობის გაზრდასა და ჩვენი ბაზრის წილს, მომხმარებლებს ვთავაზობთ სავაჭრო ობიექტებისა და პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს ვოლტის აპლიკაციაში და ასევე სხვადასხვა ლოიალურობის პროგრამებს; ხოლო კურიერებს ვიზიდავთ და ვინარჩუნებთ მათთვის ხარისხიანი და მოქნილი შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობების შეთავაზებით.

ჩვენ კონკურენციას ვუწევთ ჩვენს გლობალურ კონკურენტებს, რომლებმაც დაიწყეს თავიანთი ბიზნესი საქართველოში, როგორცაა გლოვო, იანდექსი, ადგილობრივი კომპანიები, რომლებსაც აქვთ საკუთარი კვების სავაჭრო პლატფორმები და აპლიკაციები, როგორცაა Foody და Elvis, სავაჭრო ობიექტები, რომელთაც აქვთ საკუთარი ონლაინ შეკვეთების პლატფორმები და მიწოდების მომსახურება. ჩვენ ასევე კონკურენციას ვუწევთ ტრადიციულ ოფლაინ შეკვეთების არხებს, როგორცაა გატანის მომსახურების ობიექტები, სატელეფონო შეკვეთები და ქაღალდზე დაბეჭდილი მენიუები, რომლებსაც სავაჭრო ობიექტები ურიგებენ კლიენტებს და ასევე, არეკლამებენ აღნიშნული ობიექტის ადგილმდებარეობას ადგილობრივ გამოცემებში, კლიენტების მოსაზიდად.

ადამიანური კაპიტალი

დასაქმებულები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში გვყავდა 886 დასაქმებული (2023 წლის 31 დეკემბერი: 594), რომლებიც მუშაობენ მარკეტინგის, საფინანსო, კომერციულ, საოპერაციო და სხვა დეპარტამენტებში. ჩვენ არ გვქონია საქმიანობის შეჩერება და ვთვლით, რომ ჩვენ გვაქვს მჭიდრო ურთიერთობები დასაქმებულებს შორის.

როგორც კომპანია, ჩვენ ვავითარებთ ჩვენს ვოლტ კულტურას და ღირებულებებს საქართველოში, რათა მივცეთ თავისუფლება და შესაძლებლობა ჩვენს ხალხს მიაღწიონ თავიანთ მიზნებს, ააწყონ კარიერა, იგრძნონ მონაწილეობა კომპანიის წარმატებაში და მოიპოვონ სხვა ქვეყნებში გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, ვოლტის კომპანიებში მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა ქვეყანაში.

პარტნიორი კურიერები

ჩვენი მიზანია ჩვენს პარტნიორ კურიერებს მივცეთ შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობები და შევუქმნათ ხელმისაწვდომი, მოქნილი, კეთილგანწყობილი და კონკურენტუნარიანი გარემო ჩვენს კომპანიასთან საკურიერო პარტნიორობისთვის.

2024 წლის მდგომარეობით, საქართველოში გვყავდა 13,055 აქტიური კურიერი (2023 წლის 31 დეკემბერი: 10,423).

რადგან პარტნიორი კურიერები დამოუკიდებელი კონტრაქტორები არიან, ჩვენ კონკურენციას გავწევთ მათი დროისა და ძალისხმევითვის თითოეული შეკვეთისას. ჩვენ კონკურენციას ვუწევთ შემოსავლის გამომუშავების სხვა შესაძლებლობებს, კაპიტალის სხვა წყაროებს, როგორცაა სესხები ან საკრედიტო ბარათები და ასევე დროის ალტერნატიულ გამოყენებებს. ამ კონკურენციის გამო, ჩვენი შეთავაზებები პარტნიორი კურიერებისთვის არის მიმზიდველი, მომგებიანი და სხვა ხელმისაწვდომ ვარიანტებთან შედარებით ხელსაყრელი. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი თანამშრომლობა კურიერებთან იყოს პოზიტიური, ხელმისაწვდომობის, მოქნილობის, შემოსავლებისა და მომსახურების თვალსაზრისით.

ჩვენ გვჯერა, რომ ვოლტ საკურიერო მიწოდების კუთხით, ჩვენს კომპანიაში შესვლის ბარიერები დაბალია. პოტენციურმა პარტნიორმა კურიერებმა უნდა გაიარონ ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმება და უნდა ჰქონდეთ ველოსიპედი, სკუტერი ან მანქანა. იმ პირებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ მუშაობისთვის აუცილებელ პირობებს აქვთ უფლება მიიღონ შემოსავალი რეგისტრაციის გავლის დღიდან. ისინი ირჩევენ იმუშაონ თუ არა, სად და როდის იმუშაონ, რამდენ ხანს იმუშაონ და რა სიხშირით, რაც მათ საშუალებას აძლევს მოარგონ თავიანთი ძალისხმევა თავიანთი შემოსავლის საჭიროებებს, სხვა ცხოვრებისეული ან სამსახურობრივი საჭიროებების მიხედვით.

ჩვენ ასევე მიზნად ვისახავთ პარტნიორი კურიერები უზრუნველყოთ მაღალი დონის მომსახურებით, რაც მოიცავს გლობალურ სადაზღვევო პროგრამებს, სპეციალურ მომსახურების გუნდს, რომელიც ხელმისაწვდომია ვოლტის აპლიკაციის, ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, ჩატისა და ტელეფონის საშუალებით, ასევე ჩვენს გამჭირვალე პოლიტიკებსა და პრაქტიკებს, რეიტინგებისა და დეაქტივაციების განსაზღვრისთვის.

კანონმდებლობა და რეგულაციები

საქართველოში მრავალი სხვადასხვა კანონი და რეგულაცია მოქმედებს. აღნიშნული კანონები, რეგულაციები და სტანდარტები არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა დასაქმებულის/დამოუკიდებელი კონტრაქტორის კლასიფიკაცია, შრომითი და დასაქმების ვალდებულებები, პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების გადასახადისა და სახელფასო გადასახადის რეგულაციები, სოციალური უსაფრთხოების რეგულაციები, საბაჟო კანონი,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციები ვოლტის აპლიკაციაში რეგისტრირებულ ყველა პირს შორის და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს ბიზნეს საქმიანობასთან საქართველოში.

ჩვენი პლატფორმის საშუალებით საქონლის გაყიდვა და მიწოდება ასევე ექვემდებარება კანონებს, რეგულაციებსა და სტანდარტებს, რომლებიც ალკოჰოლის, თამბაქოს, ფარმაცევტული პროდუქტებისა და სხვა შეზღუდული პროდუქტების გაყიდვებს არეგულირებს.

საოპერაციო საქმიანობის შედეგები

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია საოპერაციო მონაცემების ისტორიული ანგარიშგება:
ყველა ოდენობა წარმოდგენილია '000 ლარში

შპს „ვოლტ ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	6	49,271	36,244
გაყიდვების თვითღირებულება	7	(12,836)	(11,540)
საერთო მოგება		36,435	24,704
მარკეტინგის ხარჯები	8	(9,014)	(9,130)
სახელფასო ხარჯები	9	(23,722)	(15,000)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(9,544)	(6,278)
სულ საოპერაციო ხარჯები		(42,280)	(30,408)
ცვეთა და ამორტიზაცია		(255)	(189)
საოპერაციო ზარალი		(6,100)	(5,893)
ფინანსური შემოსავალი		382	381
ფინანსური ხარჯები		(1,092)	(530)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(710)	(149)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(6,810)	(6,042)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(6,810)	(6,042)

მოცემულ მოგება ზარალის ანგარიშგებაში ჩანს შემოსავლების ზრდა, რაც ძირითადად გამოწვეულია გაზრდილი შეკვეთებით და ბრუნვით, ასევე ზრდა ფიქსირდება კომპანიათაშორის შემოსავლებში

2024 და 2023 დასრულებული წლების შედარება

მარკეტინგის ხარჯები

მარკეტინგის ხარჯები ძირითადად მოიცავს სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ვოლტის ბრენდისა და ვოლტის პროდუქტების ცნობადობის გაზრდაზე საქართველოში არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, მოვაჭრეებსა და კურიერებს შორის. აღნიშნული ხარჯები მოიცავს სოციალური მედიის სარეკლამო ხარჯებს, ინფლუენსერებზე განხორციელებულ გადახდებს, ბაზრის კვლევასა და სხვა სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ყველა ოდენობა წარმოდგენილია '000 ლარში

8. მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
შესრულებაზე დაფუძნებული მარკეტინგი	5,244	6270
მედია რეკლამა	2,185	1293
კრეატიული წარმოება და დიზაინი	569	824
ინფლუენსერები, ღონისძიებები და აგენტები	531	313
საქონელი	128	96
სხვა მარკეტინგის ხარჯები	357	334
	9,014	9,130

სახელფასო ხარჯები

სახელფასო ხარჯები - პერსონალთან დაკავშირებული სახელფასო და სხვა პერსონალთან დაკავშირებული ანაზღაურების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან და მოიცავს საფინანსო, ბუღალტრული აღრიცხვის, ადამიანური რესურსებისა და სხვა ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს.

ყველა ოდენობა წარმოდგენილია '000 ლარში

9. სახელფასო ხარჯი

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოები	21,030	12,291
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	2,692	2,709
	23,722	15,000

სახელფასო ხარჯები 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაიზარდა. პერსონალთან დაკავშირებული სახელფასო და სხვა პერსონალთან დაკავშირებული ანაზღაურების ხარჯები გაიზარდა, ვინაიდან ჩვენ გვჭირდებოდა მეტი რესურსი ჩვენი გაზრდილი ბიზნეს საქმიანობის სამართავად.

ფინანსური რისკები

ფასწარმოქმნა და სავალუტო გაცვლითი რისკები

გარდა ზემოთ განხილული ფასების კონკურენციის რისკებისა, ფასწარმოქმნა ასევე დამოკიდებულია ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებზე. ამ მხრივ, ჩვენ ძირითადად დამოკიდებულნი ვართ ჩვენი პლატფორმით მოსარგებლე სავაჭრო ობიექტების საქონლის ფასწარმოქმნაზე, რომლებიც ხშირად ექვემდებარებიან ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებს. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, ჩვენ როგორც „ვოლტ ჯგუფის“ ნაწილი, ასევე ვაღიარებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოსწრების მაჩვენებლები ფასდება ევროში და ფინანსური ანგარიშგების გლობალური კონსოლიდაცია ხდება აშშ დოლარში. შესაბამისად, ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის რყევები პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს საქმიანობასა და ბიზნესზე.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები

ჩვენი მთავარი საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები ძირითადად დაკავშირებულია ჩვენი მესამე მხარის გადახდების დამუშავებლების უნართან, სწორად და დროულად გადასცენ ფული მოვაჭრეებს, კურიერ პარტნიორებსა და ჩვენ. ჩვენი კომპანია არ ახორციელებს ინვესტიციებს და არ გასცემს სესხებს მის აფილირებულ პირებზე ან მესამე მხარეებზე.

სხვა ლიკვიდურობის რისკები დაკავშირებულია ჩვენს დაუფარავ ვალდებულებებთან, რომლებიც გვაქვს სათაო ოფისის მიმართ, საქართველოში ჩვენი ბიზნეს საქმიანობისთვის სხვადასხვა სახის მხარდაჭერის გაწევისთვის, მათ შორის მარკეტინგული, ტექნიკური, ადმინისტრაციული მომსახურების მხარდაჭერა, საქონლის და აღჭურვილობის მიწოდება და სხვა სახის მხარდაჭერა. სათაო ოფისი მოელის ჩვენი ვალდებულებების დაკმაყოფილებას, როდესაც ჩვენ მუდმივად გამოვიმუშავებთ დადებით ფულად ნაკადებს ჩვენი საოპერაციო საქმიანობიდან.

სტრატეგიული მიზნები და ინიციატივები 2025 წლისთვის

2025 წელს ჩვენი სტრატეგიული მიზანია ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნება და ზრდა, თუმცა ამავდროულად ფინანსური და ოპერაციული ეფექტურობის გაუმჯობესება. ჩვენი ყურადღება კონცენტრირებული იქნება მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებაზე, რეგიონულ გაფართოებაზე და შემოსავლების სტაბილურ ზრდაზე. ეს გულისხმობს ოპერაციული ეფექტურობის გაზრდას და პარტნიორული ობიექტების ქსელის გაზრდას. ძირითადი ზრდის მიმართულებები

1. რეგიონული განვითარება

ქალაქების განვითარება თბილისის გარეთ გახდება განსაკუთრებული პრიორიტეტი. მიზნად ვისახავთ, რომ წლის ბოლოს, მთლიანი ბიზნესის არანაკლებ 15% მოდიოდეს თბილისის გარეთ მდებარე ქალაქებიდან.

ამისათვის გაფართოვდება პარტნიორთა ქსელი და დაინერგება ლოკალური მარკეტინგული კამპანიები რეგიონებში.

2. პარტნიორების პორტფელის გაფართოება

გავაგრძელებთ როგორც სარესტორნო, ისე საცალო სექტორების ინტეგრაციას პლატფორმაზე, განსაკუთრებული აქცენტით რეგიონებზე.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ბრენდებთან თანამშრომლობის დაწყებას, რომლებიც ამჟამად ექსკლუზიურად სხვა პლატფორმებთან თანამშრომლობენ.

რითილის მიმართულებით მიზანია, რომ ეს მიმართულებამ დააგენერიროს დაახლოებით 40% მთლიანი ბიზნესიდან.

3. ლოიალურობის პროგრამების გაფართოება

Wolt+ პროგრამის ოპტიმიზაცია და პოპულარიზაცია გაგრძელდება, რაც მომხმარებელთა ლოიალურობას გააძლიერებს. ექსკლუზიური ფასდაკლებები კი შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო მეტი დაზოგონ.

Wolt+ მიმართულებით გაგრძელდება პარტნიორობა საქართველოს ბანკთან, მათ შორის, ერთობლივი კამპანიებისა და კომუნიკაციის გაღრმავება.

Wolt Rewards-ის პროგრამა შემოდგომაზე სრულად დაინერგება და ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთა 100%-ისთვის.

ამ მიმართულებით განხორციელდება მიზანმიმართული კამპანიები ლოიალურობის გასაზრდელად და შეკვეთების წახალისების მიზნით.

4. მარკეტინგული და ფასდაკლების სტრატეგიები

პრომო აქტივობები და ფასდაკლებები წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი სტრატეგიული კომპონენტი გახდება, ხოლო რაც შეეხება მათ დაფინანსებას, მიზნად ვისახავთ, რომ ყველა მსგავსი შეთავაზების საშუალოდ 80% დაფინანსებული იყოს უშუალოდ პარტნიორების მიერ, რაც ოპერაციული ეფექტურობის ზრდას შეუწყობს ხელს.

5. ეკონომიკური ეფექტურობის გაუმჯობესება

Unit economics-ის გაუმჯობესება 2025 წელსაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დარჩება.

დაგეგმილი გვაქვს:

- კურიერებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება,
- მერჩანტებთან საკომისიოების ოპტიმიზაცია (ზრდა)
- Wolt Ads-იდან დაგენერირებული შემოსავალი გაუტოლდეს მთლიანი შემოსავლის 1%-ს.

გენერალური დირექტორი
სერგო მარდანიძე

ფინანსური მენეჯერი
ელენე ბერიძე

შპს „ვოლტ ჯორჯია“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვოლტ ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ფასს აღრიცხვის სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებაზე და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 9 ივნისს.


სერგო მარჯანიშვილი
გენერალური დირექტორი

2025 წლის 9 ივნისი
საქართველო, თბილისი

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ალგი აუდიტი"-ს სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2025 წლის 9 ივნისი
თბილისი, საქართველო



შპს „ვოლტ ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	6	49,271	36,244
გაყიდვების თვითღირებულება	7	(12,836)	(11,540)
საერთო მოგება		36,435	24,704
მარკეტინგის ხარჯები	8	(9,014)	(9,130)
სახელფასო ხარჯები	9	(23,722)	(15,000)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(9,544)	(6,278)
სულ საოპერაციო ხარჯები		(42,280)	(30,408)
ცვეთა და ამორტიზაცია		(255)	(189)
საოპერაციო ზარალი		(6,100)	(5,893)
ფინანსური შემოსავალი		382	381
ფინანსური ხარჯები		(1,092)	(530)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(710)	(149)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(6,810)	(6,042)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(6,810)	(6,042)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


 გენერალური დირექტორი
 სერგო მარღანია


 ფინანსური მაკონტროლბელი
 ელენე ბერიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,384	798
არამატერიალური აქტივები		157	194
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები		2,024	603
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,565	1,595
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,032	333
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	9,509	4,781
გადახდილი ავანსები		455	95
სხვა მოკლევადიანი აქტივები		295	297
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	11,864	10,723
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,155	16,229
სულ აქტივები		26,720	17,824
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		12,000	-
(დაგროვილი ზარალები)/გაუნაწილებელი მოგება		(15,207)	(8,397)
სულ კაპიტალი	14	(3,207)	(8,397)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	5,920	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	22,985	25,425
საგადასახადო ვალდებულებები		587	646
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		435	150
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29,927	26,221
სულ ვალდებულებები		29,927	26,221
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,720	17,824

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია


ფინანსური მკონტროლბელი
ელენე ბერიძე

შპს „ვოლტ ჯორჯია“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	განთავსებული კაპიტალი	(დაგროვილი ზარალები)/გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
'000 ლარი			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(2,355)	(2,355)
წლის ზარალი	-	(6,042)	(6,042)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(8,397)	(8,397)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	(8,397)	(8,397)
წლის ზარალი	-	(6,810)	(6,810)
კაპიტალის გაზრდა	12,000	-	12,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	12,000	(15,207)	(3,207)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და
მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია

ფინანსური მაკონტროლებელი
ელენე ბერიძე

შპს „ვოლტ ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი		(6,810)	(6,042)
კორექტირებები:			
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	9	2,692	2,709
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		66	31
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		37	-
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა		987	859
ცვეთა და ამორტიზაცია		255	189
წმინდა ფინანსური ხარჯი		809	133
		(1,964)	(2,121)
ცვლილებები:			
გრძელვადიან გადახდილ ავანსებში		(1,421)	(185)
მარაგებში		(699)	108
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,081)	(4,611)
გადახდილ ავანსებში		(360)	70
სხვა მოკლევადიან აქტივებში		(3)	(95)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(5,534)	6,428
მოკლევადიან საგადასახადო ვალდებულებებში		(59)	(1,162)
სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		285	77
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		(14,836)	(1,491)
გადახდილი პროცენტები		(230)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		(15,066)	(1,491)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		382	381
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(907)	(564)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(95)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(525)	(278)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან	15	14,732	-
სესხების დაფარვა	15	(8,958)	-
კაპიტალის გაზრდა		12,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		17,774	-
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		2,183	(1,769)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		10,723	11,990
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		(1,042)	502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	11,864	10,723

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 9 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია


ფინანსური მკონტროლელი
ელენე ბერიძე

სტრატეგიული მიზნები და ინიციატივები 2025 წლისთვის

2025 წელს ჩვენი სტრატეგიული მიზანია ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნება და ზრდა, თუმცა ამავდროულად ფინანსური და ოპერაციული ეფექტურობის გაუმჯობესება. ჩვენი ყურადღება კონცენტრირებული იქნება მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებაზე, რეგიონულ გაფართოებაზე და შემოსავლების სტაბილურ ზრდაზე. ეს გულისხმობს ოპერაციული ეფექტურობის გაზრდას და პარტნიორული ობიექტების ქსელის გაზრდას.

ზრდის ძირითადი მიმართულებებია:

1. რეგიონული განვითარება

ქალაქების განვითარება თბილისს გარეთ გახდება განსაკუთრებული პრიორიტეტი. ამისათვის გაფართოვდება პარტნიორთა ქსელი და დაინერგება ლოკალური მარკეტინგული კამპანიები რეგიონებში.

2. პარტნიორების პორტფელის გაფართოება

გავაგრძელებთ როგორც სარესტორნო, ისე საცალო სექტორების ინტეგრაციას პლატფორმაზე, განსაკუთრებული აქცენტით რეგიონებზე.

3. ლოიალურობის პროგრამების გაფართოება

Wolt+ პროგრამის ოპტიმიზაცია და პოპულარიზაცია გაგრძელდება, რაც მომხმარებელთა ლოიალურობას გააძლიერებს. ექსკლუზიური ფასდაკლებები კი შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო მეტი დაზოგონ.

Wolt+ მიმართულებით გაგრძელდება პარტნიორობა საქართველოს ბანკთან, მათ შორის, ერთობლივი კამპანიებისა და კომუნიკაციის გადრმავება.

Wolt Rewards-ის პროგრამა შემოდგომაზე სრულად დაინერგება და ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთა 100%-ისთვის. ამ მიმართულებით განხორციელდება მიზანმიმართული კამპანიები ლოიალურობის გასაზრდელად და შეკვეთების წახალისების მიზნით.

4. მარკეტინგული და ფასდაკლების სტრატეგიები

პრომო აქტივობები და ფასდაკლებები წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი სტრატეგიული კომპონენტი გახდება,

ეს მიდგომები საშუალებას მოგვცემს, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ლიდერობა ბაზარზე.



გენერალური დირექტორი
სერგო მარღანია



ფინანსური მაცონტროლებელი
ელენე ბერიძე